მემკვიდრეობა

კონსტანტინე კაპანელი

ცოტა რამ ცნება „ნაციის“ შესახებ

უკანასკნელ დროს ჩვენთვის „ნაციონალური საკითხი“ მეტად საყურადღებო საგნად გახდა; საზოგადო მოღვაწეებმა ბევრი ილაპარაკეს „ნაციაზე“ და „ნაციონალურ საკითხზე“, რადგანაც თვით ცხოვრების პირობები თხოულობენ ამის გამორკვევას.

ნაციონალური საკითხის ახსნა-განმარტება წარმოადგენს აუცილებელ პირობას პროგრესიულ საზოგადო მოღვაწეობისათვის. სადაც საზოგადო მოღვაწეებს არა აქვსთ სრული წარმოდგენა ნაციონალურ ინტერესებზედ და ნაციაზე, იმ ისტორიულ და სოციალურ პირობებზედ, რომელნიც ჰბადებენ, ჰქმნიან ნაციონალურ იდეას - იქ ნაცია თან და თან ჰკარგავს თავის უფლებებს. ნაციონალური უფლება არის იდეა ნაციონალური თვითშეგნებისა და, წარმოადგენს შედეგს კოლექტიურ-ისტორიულ მოძრაობისას.

ვეცდებით გავარკვიოთ როგორ ჩნდება ნაციონალური ინტერესები და რა არის ნაცია მეცნიერების მხრით.

ძველ დროში არ იცოდნენ, რა იყო ნაცია. ძველი სახელმწიფოები - ეგვიპტე, ასირია, ქალდეა, თემი ისრაელთა არ შეადგენდნენ ნაციებს; დანარჩენი ყველა ძველი სახელმწიფონი: ათინა, რომი, ტირი, მონარქია ალექსანდრე მაკედონელისა წარმოადგენდნენ მხოლოდ კონფედერაციულ კავშირებს, რომელთაც ჰქონდათ განსაზღვრული მუნიციპალური მმართველობა. ისინი იყვნენ მოკლებულნი ნაციონალურ თვითარსებობას. ვეებერთელა რომის იმპერია კეისრის და ციცერონის დროს წარმოადგენდა ხალხთა დიდ ასოციაციას, რომელშიაც შედიოდნენ აგრეთვე ბარბაროსებიც. ამ უკანასკნელებმა, თუმცა ქედი მოიხარეს რომის მფლობელობის, წესწყობილების და ცივილიზაციის წინაშე, მაგრამ მათ არ ჰქონდათ სრულებით წარმოდგენა ნაციონალურ იდეაზე. ღრმა პატრიოტული გრძნობა, მოქალაქობრივი სული, სიყვარული და მიდრეკილება სამშობლოს

სამსახურისადმი იყო დამახასიათებელი თვისება რომაელთა. მაგრამ ის **საზოგადო სულიერი პრინციპი,** ის დიდებული სახელმწიფოებრივი სოლიდარობა, რომელსაც ეწოდება ნაციონალობა, ძველს რომში არ იყო.

საზოგადოდ ძველმა სახელმწიფოებმა, მიუხედავად მათის ხანგრძლივის ისტორიულ გარდაქმნისა და დიდის ცივილიზაციისა ვერ შეჰქმნეს, ვერ შეიმუშავეს ნაციონალური იდეა. მხოლოდ საშუალო საუკუნოებში, კარლოს დიდის იმპერიის დაყოფის შემდეგ იწყება ნაციონალური მოძრაობა.

დასავლეთი ევროპა „ხალხთა დიდი გადასახლების“ შემდეგ იწყებს ისტორიულ ცხოვრებას: ურიცხვი შეტაკებანი ხალხთა, ათასნაირი სიდუხჭირე, ბრძოლა ბუნებასთან, გართულება სოციალურის ცხოვრებისა, დაარსება სხვა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებათა, მუდმივი ისტორიული ასიმილაცია გამარჯვებულთა და დამარცხებულთა - საბერძნეთ-რომის კლასიკურ კულტურის გავრცელებასთან ერთად - ყველა ამან შეჰქმნა ახალი ევროპიული სახელმწიფონი, რომელთა დამახასიათებელ თვისებას დღესაც შეადგენს მისწრაფება ნაციონალურ არსებობისადმი. მას შემდეგ, რაც დაეცა ფრანგთა მონარქია, ჩქარა და თითქმის შეუმჩნევლად გაჩნდნენ ისეთი დამოუკიდებელი სახელმწიფონი, როგორც საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი და სხვანი. ისტორიული შეერთება სხვა და სხვა ერთა, მრავალ საუკუნოების განმავლობაში სპობდა რასათა განსაკუთრებულობას, აერთებდა ცალ-ცალკე დაყოფილს ტომებს საზოგადო ინტერესებით განსაზღვრულს ტერიტორიაზე და თავისებურად შექმნილ სახელმწიფო ერთეულების უფლების ქვეშ ნელ-ნელა აღვიძებდა ნაციონალურ თვითშეგნებას.

მაგრამ განა ყველა ეხლანდელი ევროპიული სახელმწიფონი ცალკ-ცალკე ნაციები არიან? - რასაკვირველია, არა! მაშ რანაირად ჩნდება ნაციონალური თვითშეგნება? როგორი პირობები სწირია ამ თვითშეგნების აღორძინებას? რა მიზეზია, რომ ოსმალეთი ნაციას არ წარმოადგენს, მაშინ როდესაც პატარა ჰოლანდიამ სახელი გაითქვა თავის ნაციონალობით? აგრეთვე რა არის იმის მიზეზი, რომ ისეთი სახელმწიფო, როგორც ავსტრიაა, არ არის ერთი ნაცია და შვეიც-

არია კი, რომელიც მრავალ სხვა და სხვა ტომის ხალხთაგან არის შემდგარი, არის ნაცია? რაში მდგომარეობს ძირითადი თვისება ნაციონალური თვითშეგნებისა? როგორ ჩნდება ნაცია და რა არის იგი?

სწავლულნი ხსნიან ამ საკითხს სხვა და სხვა გვარად. ზოგიერთთა შეხედულებით ნაციას ჰქმნის დინასტია; იგინი გვითითებენ შოტლანდიაზე, სადაც ნაცია წარმოიშვა ფეოდალთა გვარეულობისაგან. პირიქით, როგორ ისინი ამბობენ იტალიის სახელმწიფო დიდ ხანს ვერ შეიქმნა ნაციათ, რადგან მასში არ იყო ერთი დინასტია, ერთი მმართველი ცენტრი. ეს შეხედულება შემცდარად მიგვაჩნია. შვეიცარია და შეერთებული შტატები უდინასტიოდ აღორძინდნენ, მაგრამ ამაყად აფრიალებენ ნაციონალურ დროშას. საფრანგეთმა, მას შემდეგ, რაც მოისპო მეფეთა უფლება და მმართველი დინასტია, შესძლო მაინც ნაციად დარჩენა. ცხადია, რომ ნაციას შეუძლიან არსებობა მაშინაც კი, როდესაც მოკლებულია დინასტიის პრინციპს და როგორც სამართლიანად შენიშნავს ისტორიკოსი რენანი, ისეთ ნაციებსაც კი, რომელნიც შექმნილან დინასტიით, შეუძლიათ ჩამოშორდნენ დინასტიას და თავისუფლად განაგრძონ არსებობა. ამნაირად, სახელმწიფოს უფლება და დინასტიური პრინციპი ვერ ჰქმნიან ნაციას.

ზოგიერთი სწავლულნი ამბობენ, - **რელიგია** და **ენა** წარმოადგენენ უსაჭიროეს ფაქტორებს ნაციონალობის დასაფუძნებლადო. უეჭველია, რომ რელიგიას ძველს დროში ჰქონდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. მაგალითად, საბერძნეთში რელიგია იყო დამფუძნებელი კანონებისა და ჩვეულებებისა. „ფიცი დიდებულის აგლავრის საკურთხევლის წინ ნიშნავდა ფიცს - სამშობლოსათვის თავის დადებას“, ამბობს რენანი. ღვთის სამსახური, იგივე სამშობლოს სამსახური იყო; სახელგანთქმულ ცელერის სიტყვით „რელიგიური კულტი საბერძნეთისა იგივე სახელმწიფო კულტს წარმოადგენდა; მაგრამ ეს იყო რამდენიმე ათასი წლის წინად; ჩვენს დროში კი რელიგიამ უკვე დაჰკარგა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა; არ არის არც ერთი კულტურული სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში, სადაც რელიგია არ იყოს ინდივიდუალური რწმენის საქმე. შესაძლოა ადამიანი იყოს წარმართი და ამავე დროს სცხოვრობდეს ქრისტიანულ

სახელმწიფოში. რაც შეეხება ენას, მასზედაც შეიძლება ითქვას ყოველივე ის, რაც ვსთქვით რელიგიაზე.

აგრეთვე ხშირად გვესმის სწავლულთაგან, ვითომც ნაციის აღორძინებაში დიდს როლს ასრულებდეს **რასა.** ისინი ამბობენ, რომ სხვა და სხვა ხელშეკრულობანი სახელმწიფო დიპლომატებისა, დაპყრობა და შეერთება სხვა და სხვა ტომთა ჰკარგავენ მნიშვნელობას ეთნოგრაფიულ პრინციპების წინაშე; მაგალითად იღებენ სპარტასა და ათინას, სადაც რასას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომელიც გნებავსთ სახელმწიფო ძველის საბერძნეთისა, შესდგებოდა მოქალაქეებისაგან, ხოლო ეს უკანასკნელნი იყვნენ წარმოშობილნი რამდენიმე მონათესავე ერთაგან. ჩვენს დროში საქმე ეგრე როდია. ეხლა დასავლეთ ევროპაშიო არის რამდენიმე სახელმწიფო, რომელნიც ორგანიულად შესდგებიან სხვა და სხვა რასის ხალხთაგან: მაგალითად, დღევანდელი საფრანგეთი ისტორიულად შემდგარია კელტებისა და იბერებისაგან. აგრეთვე დღევანდელი იტალიაც - ასე რომ, დღევანდელ ევროპაში ყოველი სახელმწიფო, ყოველი ნაცია, ისტორიულად და ეთნოგრაფიულად შემდგარია სხვა და სხვა რასის, სხვა და სხვა ტომის ხალხთაგან. ავსტრიის ცნობილ პუბლიცისტის რ. შპრინგერის შეხედულებით ნაცია შეადგენს ერთ სოციალურ ორგანიზმს და ეს სოციალური ორგანიზმი, როგორც სამართლიანად შენიშნავს ეთნოგრაფი **ბასტიანი,** ღორძინდებოდა ისტორიულად იმ ხალხთა საერთო ინტერესების ძალით, რომელნიც ერთდებოდნენ სოციალურ და ისტორიულ აუცილებლობის გამო.

ამ გვარად ნაციას არ ჰქმნის განსაკუთრებული ზეგავლენით მარტოოდენ არც რასა, არც რელიგია, არც დინასტია და არც ენა. ნაცია არის მხოლოდ ისტორიული მოვლენა და ამიტომ იგი სდგება ისტორიულად ყველა იმ სოციალურ, ეკონომიურ და ეთნოგრაფიულ პირობების ზეგავლენით, რომელნიც ჰქმნიან ეროვნულ კულტურას ბუნებრივ საზღვრებით შემოფარგლულ სივრცეზე, - ე. ი. ტერიტორიაზე.

„თემი“, 1911 წელი, 24 ოქტომბერი, N 42